საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia

გარემოს ეროვნული სააგენტო
NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

KA990174302797317

დ.აღმაშენებლის გამზ.150, 0112, თბილისი, საქართველო
150 D.AGMASHENEBELI AVE., 0112, TBILISI, GEORGIA
Web:www.meteo.gov.ge
Tel.:+995 32 2439502 Fax: +995 32 2439503
E-mail: info@meteo.gov.ge

 # 21/7032

22 / ივნისი /
2017 წ.

ბატონ მამუკა მაისურაძეს
მცხ.: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას მე-2 კვ. კორ. 18, სად.1, ბინა 22

ასლი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

ბატონო მამუკა,

თქვენი 7 ივნისის წერილის (სამ. რეგ. # 10388, 07.06. 2017წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო და მდინარე ვერეს ხეობის და მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების მიზნით, უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმის (9 ივლისი, 2015, თბილისი) შესაბამისად, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა - „მდინარე ვერეს ხეობაში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი ზონა“. გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ 2015 წლის 13-14 ივნისს ვერის ხეობის დატბორილი ტერიტორია მნიშვნელოვნად აღემატებოდა ზონირებით განსაზღვრულ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ ზონას. ეს მოვლენა დაკავშირებული იყო ღვარცოფული ნაკადის მყარი ნატანით თამარაშვილის ქუჩისა და გმირთა მოედნის გვირაბების დახშობასთან.

სააგენტოში წარმოდგენილი საკადასტრო კოდის 011414005/242 მიხედვით, თქვენ საკუთრებაში არსებული ტერიტორია არ ხვდება „მდინარე ვერეს ხეობაში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი ზონის“ ფარგლებში. სამშენებლო ტერიტორიის დიდი ნაწილი მოქცეულია იმ ზონაში, რომელიც 2015 წლის 13-14 ივნისს დაიტბორა გმირთა მოედნის გვირაბის დახშობის გამო (იხ. დანართი).

დღევანდელი მდგომარეობით, ქ. თბილისის მერიას გმირთა მოედნის გვირაბის სათავიდან ესტაკადამდე აგებული აქვს 305 მეტრი სიგრძის დამბა, რომლის გასწვრივ რეაბილიტირებული კალაპოტი გათვლილია წყლის 1000 წლიანი განმეორებადობის (0,1%-იან) ხარჯზე. ასევე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ტენდერში გამოვლენილი ჰყავს მშენებელი ორგანიზაცია, რომელმაც მიმდინარე წლის ბოლომდე ვერეს ხეობაში უნდა ააგოს მყარი ნატანის დამჭერი ე.წ. ცხაურის ტიპის რკინაბეტონის ნაგებობები და მოახდინოს კალაპოტის დანარჩენი ნაწილის რეკონსტრუქცია. ცხაურები, მსგავსი სტიქიური მოვლენის გამეორების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მყარი ნატანის მსხვილი მდგენელის ბლოკირებას და დაიცავს გვირაბებს დახშობისგან.

ამდენად, მშენებარე ნატანდამჭერი ცხაურების აგებისა და კალაპოტის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის შემდეგ, ზონირებით განსაზღვრული არეალების შემომსაზღვრელი იზოხაზების გათვალისწინებით, ასევე, საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიის მინიმუმ 0.5 მეტრით ამაღლებით მაქსიმალური რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის არეალის (ზ.დ. 412მ.) ზევით, სააგენტოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შესაძლებლად მიაჩნია დაგეგმილი ობიექტის მშენებლობა

მიწის ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში.

პატივისცემით,



სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი

თამარ ბაგრატია


მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით 01.14.14.005.248
სიტუაციური ნახაზი
412 m
ჰორიზონტალები
ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშათო მაღალი რისკის ზონა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით 01.14.14.005.248
2015 წლის 13-14 ივნისს მოხდარი სტიქიის დატბორვის არეალი
2015 წლის 13-14 ივნისს მოხდარი სტიქიის შედეგად დატბორილი ტერიტორია 6443.82 მ2 80.06%
2015 წლის 13-14 ივნისს მოხდარი სტიქიის შედეგად დაუტბორავი ტერიტორია 1356.82 მ2 19.94 %
მდინარე ვერე
დაგება
WGS 1984 მასშტაბი 1:800
481280
481320
481360
481400
481440
481480
4617860
4617830
4617800
4617770
4617740

ჩიქოვანის ჭუჩა



განმარტებითი ბარათი ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ES 8 18 00070875 16/10/2018წ. წერილთან დაკავშირებით

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2017 წლის 22 სექტემბერს დარეგისტრირდა №AR1542754 განაცხადი, სასტუმროს არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მოთხოვნით. აღნიშნულ განაცხადზე თანდართული იყო საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შეფასება, საექსპერტო დასკვნის სახით. ამის შემდგომ არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წლის 26 სექტემბერს გაიცა №3568729 ბრძანება და შეთანხმდა ქ. თბილისში, ატენის ქუჩის შესახვევში, მოქ. მამუკა მაისურაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ№ 01.14.14.005.242), სასტუმროს არქიტექტურული პროექტი, ხოლო მოგვიანებით 2018 წლის 16 ივლისს აღნიშნულ ობიექტზე №4072229 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ამჟამად მოგვმართა დამკვეთმა და გვთხოვა განმარტების გაკეთება საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ES 6 18 00068047 04/10/2018წ. წერილში დაფიქსირებული ხარვეზების შესახებ. აღნიშნულის შესახებ განვმარტავთ შემდეგს:

<u>ხარვეზი N1.</u> **„სასტუმროს მიწისქვეშა ავტოსადგომის სართულზე ლიფტის შახტის შესასვლელთან გათვალისწინდეს ტამბურ-რაბის მოწყობა, ხანძრის შემთხვევაში ჰაერის დაწნევით. ტამბურ-რაბის მღობავი კონსტრუქციების ცეცხლმედეგობა მიღებული იქნეს არანაკლებ 45 წუთის, ხოლო ტამბურ-რაბში მოწყობილი კარების ცეცხლმედეგობა - არანაკლებ 30 წუთის. (დაპროექტების დოკუმენტაციაში აღნიშნული, არ შეესაბამება ტამბურ-რაბების მოწყობის მოთხოვნებს). ამასთან ერთად მიწისქვეშა ავტოსადგომში, კიბის უჯრედში შესასვლელში მოწყობილ ტამბურ-რაბში გათვალისწინდეს ჰაერის დაწნევის სისტემის მოწყობა“**

შეთანხმებული პროექტის მიხედვით მიწისქვეშა სართულზე ლიფტების წინ მოწყობილი ტამბურის კედლები წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის სტრუქტურულ ელემენტებს და შესაბამისად მას გააჩნია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი (იხ. პირობითი აღნიშვნები), მასში მოწყობილი კარის 20 წთ-იანი ცეცხლმედეგობის ხარისხი კი აკმაყოფილებს 41-ე დადგენილების 716.5.3 ქვეთავის მოთხოვნებს, რადგან ლიფტის ტამბურის კედლების ცეცხლმედეგობა შეიძლება 1 საათიანიც იყოს. რაც შეეხება ჰაერის დაწნევას, პროექტის მიხედვით მოწყობილია შესაბამისი შახტები და ცხრილში აღნიშნული იყო ეს როგორც მექანიკური განიავება, რაც ასევე შეესაბამება 41-ე დადგენილების მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მოთხოვნით მოწყობილია დამატებითი ტამბურ-რაბი, რასაც 41-ე დადგენილება არ ითვალისწინებს, თუმცა აღნიშნული არ ეწინააღმდეგება „წესების“ მოთხოვნებს;

რაც შეეხება კიბის უჯრედის შესასვლელთან მოწყობილ ტამბურ რაბს, ის რეგლამენტში მოხსენიებულია როგორც „ვესტიბიული“ და 909.20 ქვეთავის მიხედვით ესაჭიროება მექანიკური განიავება, რომლის შახტები ასევე მითითებული იყო როგორც შეთანხმებულ პროექტის (№3568729 ბრძანება) გეგმების ველში ატვირთულ დოკუმენტაციაში (ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნების ცხრილში) ასევე საექსპერტო შეფასებაში, როგორც „მექანიკური განიავება“.

ამჟამად წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტში „მექანიკური განიავება“ შეცვლილია „დაწნევით“, ამასთან მიწისქვეშა სართულში ავტოსადგომები აღარ ეწყობა.

ხარვეზი N2. „ვინაიდან სასტუმროს სიმაღლე აღემატება 23 მეტრს სასტუმროს კიბის უჯრედებში გათვალისწინდეს ჰაერის დაწნევის სისტემების მოწყობა;
საფუძველი: ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქვეპუნქტი 1022.10“

კიბის უჯრედებში (ასევე ვესტიბიულებში/ტამბურებში), პროექტის მიხედვით მოწყობილი იყო და ახლაც არის შესაბამისი შახტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მექანიკურ განიავებას, რაც მოთხოვნილია 41-ე დადგენილების 909.20 ქვეთავით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მითითებული იყო როგორც შეთანხმებულ პროექტის (№3568729 ბრძანება) გეგმების ველში ატვირთულ დოკუმენტაციაში (ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნების ცხრილში) ასევე საექსპერტო შეფასებაში, როგორც „მექანიკური განიავება“.

ამჟამად ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნების ცხრილში (კვამლის საკონტროლო სისტემების და მექანიკური განიავების ნაწილში) მითითებულია „დაწნევა“, რომლის სისტემაც, დამკვეთის ინფორმაციით, გათვალისწინებული იქნება სახანძრო უსაფრთხოების პროექტში, რომელიც დამუშავდება არქიტექტურის სამსახურში პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდგომ.

ხარვეზი N3. „შენობის საევაკუაციო გზებზე გათვალისწინდეს საევაკუაციო განათებების მოწყობა“

დამკვეთის ინფორმაციით ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებული იქნება სახანძრო უსაფრთხოების პროექტში, რომელიც დამუშავდება არქიტექტურის სამსახურში პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდგომ (აღნიშნულის შესახებ გაფრთხილება, აგრეთვე იხ. საექსპერტო შეფასების ბოლოში)

ხარვეზი N4. „გათვალისწინდეს, რომ ვინაიდან შენობის კიბის უჯრედებში უნდა მოეწყოს ჰაერის დაწნევის სისტემები, შენობა-ნაგებობების დაუკვამლიანებელ კიბის უჯრედებში სახანძრო ონკანების მოწყობა დაუშვებელია“

სახანძრო მილდგარების („სახანძრო ონკანები“) მოწყობა გათვალისწინებული იყო კიბის უჯრედების სართულის იატაკის ბაქნებზე. რაც არ ეწინააღმდეგება და შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების 905 ქვეთავის მოთხოვნებს, თუმცა პროექტის ავტორმა გაითვალისწინა მოთხოვნა და კორექტირებულ პროექტში სახანძრო მილდგარები დაიტანა დერეფნებში.

ხარვეზი N5. „ვინაიდან წარმოდგენილ დაპროექტების დოკუმენტაციაში გაურკვეველია, სასტუმროს შენობაში კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის არსებობა, ხოლო მიწისქვეშა სართულს და სასტუმროს დერეფნებს არ გააჩნია ბუნებრივი განიავებისათვის ღიობები, ამიტომ შენობის დერეფნებში და მიწისქვეშა სათავსოში გათვალისწინდეს კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა“

როგორც მიწისქვეშა სართულზე, ასევე დერეფნებში გათვალისწინებული იყო და ახლაც არის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მითითებული იყო როგორც შეთანხმებულ პროექტის (№3568729 ბრძანება) გეგმების ველში ატვირთულ დოკუმენტაციაში (იხ. პროექტის შინაარსობრივი აღწერა, ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნების ცხრილი), ასევე საექსპერტო შეფასებაში, როგორც „მექანიკური განიავება“.

ამჟამად კორექტირებული პროექტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზის ცხრილში (იხ. მექანიკური განიავების ნაწილი), როგორც მიწისქვეშა სართულზე, ასევე დერეფნებში მითითებულია „კვამლის მექანიკური გაწოვა“, რომლის სისტემებიც (როგორც სხვა დანარჩენი), დამკვეთის ინფორმაციით, გათვალისწინებული იქნება სახანძრო უსაფრთხოების პროექტში, რომელიც დამუშავდება არქიტექტურის სამსახურში პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდგომ.

ხარვეზი N6. „სასტუმროს შენობის დაპროექტების დოკუმენტაციაში 0.00 ნიშნულზე მოცემული საგენერატოროს სათავსოდან გათვალისიწნებული იქნეს გასასვლელის მოწყობა, უშუალოდ შენობის გარეთ“

აღნიშნულ მოთხოვნას 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება არ ითვალისიწნებს, თუმცა პროექტის ავტორმა გაითვალისწინა მოთხოვნა და კორექტირებული პროექტის მიხედვით ±0.00 ნიშნულზე მოწყობილ გენერატორის ოთახში გათვალისწნებულია დამატებითი კარის მოწყობა, რომელიც უშუალოდ გადის შენობის გარეთ.

ხარვეზიN7. „ვინაიდან დაპროექტების წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება სქემატური სახით, აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და წარმოდგენილი იქნას განსახილველად“

დამკვეთის ინფორმაციით არქიტექტურის სამსახურში პროექტის შეთანხმებისა და სამშენებლო ნებართვის მოპოვების შემდგომ, მომზადდება ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის

სისტემების სრული პროექტები, რომლებიც უახლოეს მომავალში წარედგინება საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარ სამმართველოს განსახილველად.

ამასთანავე გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ „ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები, რომელთა საფუძველს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული SP 4.13130.2013, SP 154.13130.2013, SP 52. 13330 2016, SP 10.13130.2009, SP 7. 13130. 2013 და სხვა ნორმათა კრებული უმეტეს შემთხვევებში განსხვავებულ და ურთიერთ საწინააღმდეგო მოთხოვნებს აყენებს სხვადასხვა ტიპის შენობა-ნაგებობებისა და მათი შემცველი ნაწილების, ასევე სახანძრო სისტემებისა და ცეცხლისა და კვამლის დაცვის საშუალებების მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ როგორც საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 შემფასებელი სპეციალისტები, ვადასტურებთ მხოლოდ საპროექტო ობიექტის არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების მოთხოვნებთან და ვხელმძღვანელებთ მხოლოდ ზემოაღნიშნული დადგენილებით, საქართველოს ტერიტორიაზე 1992 წლამდე მოქმედი სხვა სამშენებლო ნორმების გვერდის ავლით.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით პროექტის განხილვა და მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოებს ორი ურთიერთ განსხვავებული და შეუსაბამო ნორმებით, თავის მხრივ კი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების მოთხოვნები დაცულია ჩვენს მიერ განაცხადზე თანდართული საექსპერტო შეფასების გათვალისწინებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განსაზღვრული მოთხოვნების დავალდებულება (რომელიც რიგ შემთხვევებში შეუსაბამოსბაში მოდის 28.01.16წ. №41-ე დადგენილების მოთხოვნებთან) და მათ განხორციელებაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ვფიქრობთ, რომ მხოლოდ მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს პრეროგატივაა, თუმცა ასევე გვსურს ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილების (რომლითაც ხელმძღვანელობს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ დაშვებულ იქნა 1992 წლამდე მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები და მათი ის ნაწილები, რომელთა ალტერნატივა იმ დროისათვის არ არსებობდა საქართველოში ტექნიკური რეგლამენტების სახით. შესაბამისად გაურკვეველია საგანგებო სამსახურის მიერ სხვადასხვა ნორმათა კრებულით სარგებლობის საკითხი, როდესაც ამავე ნორმებს დღეის მდგომარეობით არეგულირებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვადასტურებთ, რომ №41-ე დადგენილების მოთხოვნები წინამდებარე პროექტით დაცულია და მოიცავს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებულ არქიტექტურული პროექტისათვის საჭირო შესაბამის ინფორმაციას, სხვა ნორმათა შესაბამისობის განსაზღვრა და მათი საჭიროება კი უნდა განხორციელდეს და დადგინდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, შესაბამის კანონმდებლობებზე დაყრდნობით.

ვიმედოვნებთ, რომ ზემოაღნიშნულ განმარტებებზე დაყრდნობით, აღნიშნული საკითხი თქვენს მიერ განმეორებით გადამოწმებულ და შეფასებული იქნება.

პატივისცემით,

მაკა ძიძიგური

№ 0G18-0165996 D 20.11.2018

შპს „ჰიდროლეა ტრეიდინგი“
მის: ნავთლუღის ქ. N3/23

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება დარეგისტრირებული IN18-0162580; დათარიღებული 12/11/2018წ. ატენის ქუჩის შესახვევში მდებარე ნაკვეთზე (ს/კ 01.14.14.005.242) მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია, იმ პირობით რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელების მიმართ დაცული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს: ვაკე-საბურთალოს ბიზნეს ცენტრის უფროსი ინჟინერი ნუგზარ ოქიტაშვილი 599 65 92 63

პატივისცემით,

ირაკლი ბაბუხადია
კომერციული დირექტორი

შემსრ: გ. მურღულია; ჯ. ჩაჩხალია
ტელ: 293 11 11 (21-02); (11-27)

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი
GEORGIAN WATER AND POWER LTD

0179 თბილისი, მ. კოსტავას 1 შესახვევი №33
ტელ / Tel: +995 (32) 293 11 11; ფაქსი / Fax: +995 (32) 298 26 07
საიდენტიფიკაციო კოდი 203826002

№33, 1st Lane, M. Kostava str. 0179, Tbilisi, Georgia
ელ-ფოსტა / E-mail: info@gwp.ge / www.gwp.ge
Identification Code 203826002

ГЕОДЕЗИЧЕСКА ОСНОВА ЗА ПРОЕКТИРАНЕ

ГЕОДЕЗИЧЕСКИ ПЛАН ЗА ПРОУЧВАНЕ ЗА ПРОЕКТИРАНЕ НА ЛИНЕЙНО ОБЕКТ

М 1:400

Проект: Линейно обекти - Водопроводи

gwp

„ГЕОДЕЗИЧЕСКИ ПЛАН ЗА ПРОУЧВАНЕ ЗА ПРОЕКТИРАНЕ НА ЛИНЕЙНО ОБЕКТ"

ГЕОДЕЗИЧЕСКИ ПЛАН ЗА ПРОУЧВАНЕ ЗА ПРОЕКТИРАНЕ НА ЛИНЕЙНО ОБЕКТ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01181661857**

თარიღი: **15.06.2018**

ადრესატი:
შპს ჰიდროლეა ტრეიდინგი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406110989
მისამართი: ჭავჭავაძის გამზ 29 4 სართული

შპს ,,ჰიდროლეა ტრეიდინგი"-ს დირექტორს
ბატონ რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკის

ბატონო რადოსლავ,

თქვენი მ/წლის 14 ივნისის №14/18 წერილით (მერიაში რეგისტრაციის №10/01181652574-16; 24.06.2018წ.) წარმოდგენილი მშენებლობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სამსახურის მიერ შეთანხმებულია.

ამასთან გაცნობებთ, რომ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია იმ პირობით, რომ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ცვლილების შემთხვევაში სქემა ხელახლა საჭიროებს შეთანხმებას სამსახურთან.

ასევე, სამუშაოს დასრულების შემდეგ დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დანართი: 6 ფურცელი.

პატივისცემით,

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური -
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის
უფროსი)

მამუკა მუმლაძე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 5 18 01465410

21/06/2018

შპს "ჰიდროლეა ტრეიდინგი"-ს დირექტორს
რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკის
ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ №29;
თქვენს 2018 წლის 18 ივნისის №15/18 წერილზე
ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის
მოადგილეს ბ–ნ ლ. ჯოხაძეს

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში ატენის ქუჩის შესახვევში ს/კ 01.14.14.005.242–ის მიმდებარედ შესასვლელ–გამოსასვლელი გზის მოწყობას, რაზეც ითხოვთ წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანხმობას და ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მ/წლის 15 მაისის №3960373 გადაწყვეტილებას საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს წარმოდგენილ დროებითი მოძრაობის ორგანიზაციის სქემას და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ ზემოაღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით წარმოდგენილი სქემის შესაბამისად;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- დაცული იქნას ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;
- სამუშაოების დაწყების და დამთავრების შესახებ წინასწარ ეცნობოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 241-85-04; 241-85-05);

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური

.90, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
38 Noe Ramishvili St. 0190 Thilisi, Georgia

ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 85 02
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02

საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: 4 ფურცლად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი
/ საორგანიზაციო სამმართველო /
საგზაო მოძრაობის ზედამხედველობის
განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით





დროებითი საგზაო ნიშნები
პირობითი ნიშნები.

1.26	6	- ცალი
2.5	1	- ცალი
2.6	1	- ცალი
3.20	1	- ცალი
3.24	1	- ცალი
3.24	3	- ცალი
3.24	2	- ცალი
4.2.2	1	- ცალი
4.2.3	1	- ცალი
8.3.1	2	- ცალი
	2	- ცალი

სასიგნალე ლენტი

მედროშე 2 ადამიანი

საქვეითო ნაკადის მოძრაობის მიმართულება

სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება

შენიშვნა:

დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014 " და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ -ის მოთხოვნებით

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50მ-ს.
2. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე განლაგების და ბუფერული ზონები არ ეწყობა.
3. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძეა 22მ.
4. ქვეითები მოძრაობენ არსებული რეჟიმით და მათ უსაფრთხო მოძრაობას უზრუნველყოფს ორი მედროშე

საგზაო მოძრაობის სამეცნიერო ცენტრი
☎ +995(32)38-35-84
ბაზისტრიონის ქ. 12 email sctsgeorgia@gmail.com

შპს „ჰიდროლეა ტრეიდინგი" ქ. თბილისი, ატენის ჭუჩის შესახვევი ნაკეთი ს.კ. 01.14.14.005.242 სასტუმროს მშენებლობა. მდ. ვერეს ხეობაში, მზიურში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილიდან შესასვლელ - გამოსასვლელის მოწყობა, არსებული შესასვლელ - გამოსასვლელის რეკონსტრუქცია. საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემა. საკონტაქტო პირი: ირაკლი ჩირაძე 577730524

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემა

05-21-01	406110988	13.06.2018

მ. 1:500


"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის სააქალაქო სამსახურის უფროსი
მ. მუმლაძე
15.06 2018
"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"
ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე
ლ. ჯოხაძე
2018
თამარაშვილის ქ.
ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი
დამუხრუჭება-გაძანების ერთიანი ზოლი
მოსაყვანი შ.შ.მ.პ. პანდუსი
მოსაყვანი ტროტუარი
მდინარე ვერე
01.14.14.005.156
22.0
სამუშაო ზონა
42.0
გზირთა მოედანი
4.5
01.14.14.005.242
01.14.14.005.195
01.14.14.005.248
გაფრთხილების ზონა
მოსაყვანი გაზონი
მოსაყვანი ტროტუარი
ველოსიპედისა და მიქცევადობის მიმართულება
დროებითი საგზაო ნიშნები პირობითი ნიშნები.
1.26 6 - ცალი
2.5 1 - ცალი
2.6 1 - ცალი
3.20 1 - ცალი
3.24 1 - ცალი
3.24 3 - ცალი
3.24 2 - ცალი
4.2.2 1 - ცალი
4.2.3 1 - ცალი
8.3.1 2 - ცალი
2 - ცალი
სასიგნალე ლენტი
მედროვე 2 ადამიანი
საძვეთითო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება
შენიშვნა:
დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014 “ და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ -ის მოთხოვნებით
1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50მ-ს.
2. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე განდევნის და გუფერული ზონები არ ეწყობა.
3. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძეა 22მ.
4. ძვეთითები მოძრაობენ არსებული რეჟიმით და მათ უსაფრთხო მოძრაობას უზრუნველყოფს ორი მედროვე
საგზაო მოძრაობის სამეცნიერო ცენტრი
საგზაო მოძრაობის სამეცნიერო ცენტრი
ბახტრიონის ქ. 12 email sctsgeorgia@gmail.com
+995(32)38-35-84
შპს „ინდროლეა ტრეიდინგი“ ქ. თბილისი, ატენის ქუჩის შესახვევი ნაკვეთი ს.კ. 01.14.14.005.242 სასტუმროს მშენებლობა. მდ. ვერეს ხეობაში, მზიურში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილიდან შესასვლელ - გამოსასვლელის მოწყობა, არსებული შესასვლელ - გამოსასვლელის რეკონსტრუქცია. საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემა. საკონტაქტო პირი: ირაკლი ნიორაძე 577730524
საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემა
05-21-01 406110989 13.06.2018
მ. 1:500


"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"
"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის
ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის
უფროსი მოადგილე
გ. მუმლაძე ლ. ჯოხაძე
15. 06 2018 2018
მოსაწყობი შ.შ.მ.
პანელური
მდინარე ვერე
01.14.14.005.156
თამარაშვილის ქ.
დამუხრუჭება-გაძანების
ერთიანი ზოლი
42.0
მოსაწყობი
ტროტუარი
ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი
ბეტ.
შპირთა მოედანი
რკ 1
428.62
01.14.14.005.248
01.14.14.005.158
01.14.14.005.242
01.14.14.005.195
მოსაწყობი
საგზაო ნიშნები
3.18.1 1 - ცალი
2.3 3 - ცალი
3.1 4 - ცალი
3.27 3 - ცალი
4.1.2 1 - ცალი
4.1.3 2 - ცალი
4.1.4 1 - ცალი
4.1.5 1 - ცალი
5.5 1 - ცალი
5.8.3 1 - ცალი
5.8.5 1 - ცალი
საძვეითო ნაკადის
მოძრაობის მიმართულება
სატრანსპორტო ნაკადის
მოძრაობის მიმართულება
მოსაწყობი
გაზონი
მოსაწყობი
ტროტუარი
4.5
5.0
საგზაო მოძრაობის სამეცნიერო
ცენტრი
ბახტრიონის ქ. 12
+995(32)38-35-84
email sctsgeorgia@gmail.com
შპს „ჰიდროლეა ტრეიდინგი“ ქ. თბილისი, ატენის ქუჩის შესახვევი ნაკვეთი ს.ქ. 01.14.14.005.242 სასტუმროს მშენებლობა. მდ. ვერეს ხეობაში, მზიურში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილიდან შესასვლელ - გამოსასვლელის მოწყობა, არსებული შესასვლელ - გამოსასვლელის რეკონსტრუქცია. საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა. საკონტაქტო პირი: ირაკლი ჩირაძე 577730524
საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა
ხელშეკრულება 06-21-01
დანართი 406110969
მ. 1:500

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი

მ. მუმლაძე

15.06. 2018

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

ლ. ჯოხაძე

------------2018



საგზაო მოძრაობის სამეცნიერო ცენტრი ☎ +995(32)38-35-84

ბაზტრიონის ქ. 12 email sctsgeorgia@gmail.com

შპს „ჰიდროლეა ტრეიდინგი" ქ. თბილისი, ატენის ქუჩის შესახვევი ნაკვეთი ს.კ. 01.14.14.005.242 სასტუმროს მშენებლობა. მდ. ვერეს ხეობაში, მზიურში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილიდან შესასვლელ - გამოსასვლელის მოწყობა, არსებული შესასვლელ - გამოსასვლელის რეკონსტრუქცია. საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა. საკონტაქტო პირი: ირაკლი ჩირაძე 577730524

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა

ხელშეკრულება	დამკვეთი
05-21-01	406110989

მ. 1:500